ვინც მარხულობს მთელი წელი მას არ აქვს მარხვა, სამი დღის მარხვა (თვეში) მთელი წლის მარხვის მსგავსია

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრ იბნ ალ-'აასისგან (ალლაჰი იყოს ორივეთი კმაყოფილი), რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «შემ მარხულობ მთელი წლის განმავლობაში და ლოცულობ მთელი ღამე?», ვუთხარი: დიახ, თქვა: «შენ თუ ასე მოიქცევი ეს შეაწუხებს თვალს და დაასუსტებს სულს, ვინც მარხულობს მთელი წელი მას არ აქვს მარხვა, სამი დღის მარხვა (თვეში) მთელი წლის მარხვის მსგავსია». მე ვუთხარი: მე ამაზე მეტი შემიძლია, თქვა: «მაშ, იმარხე როგორც დაუდი მარხულობდა (მშვიდობა მას), ის ერთი დღე მარხულობდა, ერთი დღე არ მარხულობდა, და თუ მტერს შეხვდებოდა უკან არ იხევდა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა ამბავი, რომ აბდულლაჰ იბნ 'ამრ ბინ ალ-'ასი (ალლაჰი იყოს ორივეთი კმაყოფილი) მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ მარხულობდა, ღამეებს კი ლოცვაში ატარებდა და არ იძინებდა, მან აუკრძალა ეს და უთხრა მას: ზოგჯერ იმარხე, ზოგჯერ შეწყვიტე, ზოგჯერ ილოცე, ზოგჯერ დაიძინე. შეუწყვეტლივ მარხვა და შეუწყვეტლივ მთელი ღამის ლოცვაში გატარება აუკრძალა და უთხრა: შენ თუ ასე მოიქცევი დაგისუსტდება თვალები, უკან დაიწევს და ჩაგიცვივდება, დაგისუსტდება სული, დაიღლება და მოდუნდება; ვინც მთელი წელი მარხულობს მას არ ეთვლება მარხვა; რამეთუ ის ვერ მოიპოვებს მარხვის მადლს, რადგან მოიქცა აკრძალვის საპირისპიროდ, და მას არ შეუწყვეტია მარხვა, რადგან სულ მარხულობდა. შემდეგ ურჩია მას ყოველი თვე სამი დღე იმარხოს, რადგან ასეთი ფორმის მარხვა მთელი წლის მარხვის მხგავსია; რამეთუ ყოველი ერთი დღის მარხვაზე მას ათი დღის მადლი დაეწერება, და ეს არის ყველაზე დაბალი საფასური კეთილი საქმეების. (რადგან ყოველ მადლზე მინიმუმ ათი მადლი იწერება). აბდულლაჰმა თქვა: მე ამაზე მეტი შემიძლია. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: მაშინ იმარხე დაუდ შუამავლის მარხვა (მშვიდობა მას), რადგან ის ყველაზე კარგი მარხვაა. ის ერთი დღე მარხულობდა, ერთი დღე არ მარხულობდა, და როცა მტერს შეხვდებოდა ის უკან არ იხევდა და არ გარბოდა; რადგან მისი მარხვის ფორმა მის სხეულს არ ასუსტებდა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6017